

## ხანგრძლივ პაემანზე შესასვლელად საჭირო დოკუმენტები

**დედა** - მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; მსჯავრდებულის დედის პირადობის მოწმობა.

**მამა** -- მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; მსჯავრდებულის მამის პირადობის მოწმობა.

**მშვილბეელი** - მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა ან შვილად აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი; მშვილბელის პირადობის მოწმობა.

**ძმა** - მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; მსჯავრდებულის ძმის დაბადების მოწმობა; მსჯავრდებულის ძმის პირადობის მოწმობა

**და** - მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; მსჯავრდებულის დის დაბადების მოწმობა; მსჯავრდებულის დის პირადობის მოწმობა

**შვილი** - მსჯავრდებულის შვილის დაბადების მოწმობა; მსჯავრდებულის შვილის პირადობის მოწმობა

**ნაშვილები** - ნაშვილების დაბადების მოწმობა ან შვილად აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი; ნაშვილების პირადობის მოწმობა

**მეუღლე** - მსჯავრდებულის ქორწინების მოწმობა; მსჯავრდებულის მეუღლის პირადობის მოწმობა.

**პაპა** - მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; მსჯავრდებულის დედის ან მამის დაბადების მოწმობა (ვისი მხრიდანაც არის პაპა); მსჯავრდებულის პაპის პირადობის მოწმობა.

**ბებია** - მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; მსჯავრდებულის დედის ან მამის დაბადების მოწმობა (ვისი მხრიდანაც არის ბებია); მსჯავრდებულის ბებიის პირადობის მოწმობა

**შვილიშვილი** - მსჯავრდებულის შვილის (ვისი შვილიცაა ვიზიტორი) დაბადების მოწმობა; მსჯავრდებულის შვილიშვილის დაბადების მოწმობა; შვილიშვილის პირადობის მოწმობა

**გერი** - გერის დაბადების მოწმობა; გერის მშობელთან მსჯავრდებულის ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა; გერის პირადობის მოწმობა.

**პირი რომელთანაც მსჯავრდებულს საერთო შვილი ჰყავს** - საერთო შვილის დაბადების მოწმობა; ვიზიტორის პირადობის მოწმობა.

### გ ა ი თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე თ !!!

- ხანგრძლივ პაემანზე შესასვლელად ვიზიტორმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი
- ხანგრძლივ პაემანზე შესაძლებელია შევიდეს ერთდროულად მხოლოდ 1 სრულწლოვანი ვიზიტორი, რომელთაც შეიძლება ახლდნენ ხანგრძლივი პაემნის უფლების მქონე 3 არასრულწლოვანი. აქედა 2-მა არასრულწლოვანმა დაწესებულება უნდა დატოვოს არაუგვიანეს დღის 16:00 საათზე.
- 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანმა სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/პასპორტი
- თუ ჩამონათვალში მოხსენიებული საბუთის მფლობელს შეცვლილი აქვს სახელი ან გვარი, ვიზიტორმა უნდა წარმოადგინოს გვარის (სახელის) შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტი. მაგ: გვარის (სახელის) შეცვლის მოწმობა, ქორწინების მოწმობა და ა.შ.
- ხანგრძლივი პაემანი გრძელდება არაუმეტეს 23 საათისა.